სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/29

ქ. თბილისი 24 მარტი 2026წ

„სტუ-ში სტუდენტების სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 სექტემბრის #01-05-04/253 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აკადემიური საბჭოს 2026 წლის 24 მარტის №01-05-02/07 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეტანილი იქნეს ცვლილება „სტუ-ში სტუდენტების სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 სექტემბრის #01-05-04/253 დადგენილებაში და დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების, ასევე „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პირების და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით ჩარიცხული პირების (გარდა ამ დადგენილების მე-2 პუნქტში მითითებული პირებისა) ერთი წლის (60 ECTS კრედიტი) სწავლის საფასური განისაზღვროს 2250 (ორი ათას ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.“.

2. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს სტუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
3. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურმა.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**